ხელშეკრულება № 92
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ბოლნისი 2019 წლის 3 დეკემბერი

ერთის მხრივ, შპს ”საფეხბურთო კლუბი სიონი” (საიდენტიფიკაციო კოდი: 225376189) წარმოდგენელი დირექტორის გიორგი გიორგელიძის სახით, (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”) და მეორეს მხრივ, ი/მ ი/მ ვალერი კონსტანტინოვი (ს/ნ 10001004355) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „ მომსახურეობა“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2. სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურეობა (**პიცა**) მიწოდება; (CPV კოდი: 55500000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 40 (ორმოცი) ლარი.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.3. ანგარისსწორება განხორციელდება საკუთარი შემოსულობებიდან.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;ბ) მომსახურეობის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია:ა) მიაწოდოს საქონელმომსახურეობა კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისი მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, წარმოდგენილი მირება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ 10 საბანკო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განახორციელებს და შესაბამისად მიღები ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს შპს „საფეხბურთო კლუბი სიონის „ ლიცენზირების მენეჯერი პაატა აბულაძე.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის მომსახურეობას დაკვეთის შესაბამისად და წარუდგენს მომსახურეობის მიწოდების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტს.

8. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე ქალაქი ბოლნისი. სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N 115.
8.2. მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 10 დეკემბრამდე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5. ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ძალაშია ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2020 წლის 10 იანვრამდე.

შემსყიდველი:
შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი" (ს/კ: 225376189) ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ქ. ბოლნისი. სს. ორბელიანის ქ. №99. სს "საქაართველოს ბანკი" , ბ/კ ბ/კ: BAGAGE22 . ა/N GE23BG0000000131440731.

მიმწოდებელი:
ი/მ "ვალერი კონსტანტინოვი" ს/კ 10001004355. ქ. ბოლნისი . სულხსნ საბა ორბელიანის ქუჩა N120. სს "საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22. ა/ა GE39BG0000000697802200.

შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი"

დირექტორი
გიორგი გიორბელიძე

Georgi Giorbelidze
Digitally signed by Georgi Giorbelidze
Date: 2019.12.04 11:32:02 +04'00'

ი/მ "ვალერი კონსტანტინოვი"

Valeri Konstantinov
Digitally signed by Valeri Konstantinov
Date: 2019.12.04 11:27:38 +04'00'

„შემსიდველი“ „მიმწოდებელი“

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	დასახელება	განზომილ ერთეული	რაოდენობ ა	ერთეული ს ფასი	საერთო ფასი
1	55500000	პიცა	ცალი	50	8,00	40,00
		სულ ჯამი				**40.00**

შპს "საფეხბურთო კლუბი სიონი"
დირექტორი

ი/მ „ვალერი კონსტანტინოვი"

გიორგი გიორბელიძე

„შემსიდველი“

„მიმწოდებელი“